იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 23[1]. ზოგადი მოთხოვნები +

1. ერთი პირი შეიძლება იყოს ერთდროულად რამდენიმე საბროკერო კომპანიის მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრე ან თანამშრომელი. მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და ეს ინფორმაცია საჯარო უნდა გახადოს.

2. ბირჟის , რეგისტრატორის ან ცენტრალური დეპოზიტარის ის თანამშრომელი , რომელსაც ხელი მიუწვდება კონფიდენციალურ ინფორმაციაზე , არ შეიძლება იმავდროულად იყოს საბროკერო კომპანიის თანამშრომელი .

3. ამ კანონით ნებადართულია კომერციული ბანკების მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უშუალოდ ან მათი შვილობილი საწარმოების (საბროკერო კომპანიების) მეშვეობით , „ კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ “ საქართველოს კანონის მე -10 მუხლის მე -2 პუნქტის შესაბამისად .

4. საბროკერო კომპანიებმა არ უნდა განახორციელონ საქმიანობა , რომელიც ამ კანონის 23- ე მუხლით არ არის გათვალისწინებული , გარდა სამთავრობო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ საქმიანობაში მონაწილეობისა და დამხმარე საქმიანობისა , რომელიც საჭიროა ძირითადი საქმიანობის განსახორციელებლად .

5. საწარმო , რომელიც არ არის კომერციული ბანკი და რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მხოლოდ სამთავრობო ფასიან ქაღალდებთან ამ კანონის 23- ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში , ექვემდებარება რეგულირებას ამ კანონის შესაბამისად .

6. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია თავის მიერ დადგენილი წესით განსაზღვროს ამ კანონის 23-ე მუხლში ჩამოთვლილი საქმიანობები, რომელთა განხორციელებისას პირს არ მოეთხოვება, იყოს საბროკერო კომპანია ან ჰქონდეს ლიცენზია, თუ ამ პირის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

7. საბროკერო კომპანიები ანგარიშის გახსნის პროცედურას ახორციელებენ „ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ “ საქართველოს კანონის შესაბამისად . საბროკერო კომპანიებმა თავიანთი მომსახურების მომხმარებლებთან საქმიანი ურთიერთობის პერიოდში და მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების შემოწმებისას უნდა იცოდნენ თავიანთი მომსახურების მომხმარებლების ვინაობა , საქმიანობა და ამ საქმიანობის რისკის დონე . მათ უფლება აქვთ , თავად განსაზღვრონ და მოითხოვონ სხვა დამატებითი ინფორმაცია . საბროკერო კომპანიებს უფლება აქვთ , ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი განაცხადონ ანგარიშის გახსნაზე .

8. პირებს , რომლებსაც არ აქვთ საბროკერო საქმიანობის ლიცენზია , უფლება არა აქვთ , საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ საფირმო სახელწოდება სიტყვებით „ ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია “ ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია , რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს .

მუხლი 32. ფინანსური ანგარიშგება, ანგარიშები და მათი შემოწმება +

1. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად მის ლიცენზირებას დაქვემდებარებული პირების მიმართ შეიძლება განსაზღვროს მოთხოვნები სხვადასხვა სახის დოკუმენტების წარმოების, მათი შენახვის ვადების და ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის შესახებ.

2. ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში), ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი ანგარიშების მფლობელებსა და მათ წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ბანკს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა პირებს ეს ინფორმაცია მიეცემათ მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეამოწმოს მის ლიცენზირებას დაქვემდებარებული პირების მიერ ნორმატიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვა, განახორციელოს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებისა და სხვა მასალების შემოწმება, რისთვისაც შეუძლია მათგან გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.